



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 7 20 00333034



08/04/2020

„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის 24 თებერვლის №234478, 2020 წლის 02 მარტის №263289 და 2020 წლის 24 მარტის №315589 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“

ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“:

ა) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (გარდა საერთაშორისო ექსპერტთა შერჩევისას), სამოტივაციო წერილი (გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების შერჩევისას), ავტობიოგრაფია (CV) ორი რეკომენდატორის მითითებით;“;

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი განათლების ექსპერტთა შერჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ღია კონკურსის გამოცხადება;

ბ) განაცხადის წარდგენა, რომელსაც უნდა დაერთოს კვალიფიკაციის/განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ავტობიოგრაფია (CV) ორი რეკომენდატორის მითითებით;“

გ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა და გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;

დ) ტრენინგების ჩატარება;

დ) კანდიდატთა ტესტირება;

ე) ტესტირების შედეგების ინდივიდუალურად გაცნობა;

ვ) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შერჩეულ კანდიდატთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსში.“;

გ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ პუნქტი:

„4¹. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრ უმაღლესი განათლების ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ სამ წლიანი სამუშაო გამოცდილება (სფეროს დაკონკრეტების გარეშე);

გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS Office: Word, Excel) ცოდნა;

დ) ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე;

ე) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)“ 2015 წლის დოკუმენტისა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ე.ა) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ე.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ე.გ) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

ე.დ) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;

ე.ე) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;

- ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ზ) პრობლემების გადაწყვეტის უნარი;
- თ) ინფორმაციის ანალიზის უნარი;
- ი) მონაცემების შეგროვების, შეფასებისა და დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- კ) სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი;
- ლ) საკუთარი სწავლების დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.“;

დ) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები - სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი და სტუდენტი (გარდა, მასწავლებლის მომზადების და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შემთხვევისა), ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ საერთაშორისო ექსპერტები (საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობა სავალდებულოა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას), უმაღლესი განათლების ექსპერტის სტატუსის მქონე პირები, დამსაქმებლები, რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.“;

ე) მე-15 მუხლის 2¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საქმიანობის შეფასების შესაბამის კითხვარს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ ავსებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნისა და ანგარიშის წარმოდგენასთან ერთად ავსებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის წარმოდგენიდან აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარებამდე ავსებს ექსპერტთა ჯგუფის წევრი, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ავსებს ცენტრის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის ეფექტიან წარმართვაზე, ხოლო აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს - შესაბამისი საკითხის განმხილველი აკრედიტაციის საბჭოს წევრები.“.

2. ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებული:

- ა) „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;
- ბ) „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს თანამშრომლის მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;
- გ) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;
- დ) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად;

ე) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ჯგუფის წევრის მიერ აკრედიტაციის ჯგუფის თავმჯდომარის საქმიანობის შეფასების კითხვარის ფორმა“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ



ინფორმირებული თანხმობა

გთხოვთ, კითხვარის შევსებამდე გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, როგორც განათლების ხარისხის, ისე მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს აკრედიტაციის პროცესში ჩართულ მხარეთა ურთიერთშეფასებას.

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური, გამოიყენება ცენტრის შიდა ანალიტიკური ანგარიშის მოსამზადებლად და არ გადაეცემა მესამე პირებს, ხოლო საჯარო კვლევითი დოკუმენტების და/ან პრეზენტაციების მომზადებისას გამოიყენება მხოლოდ დაჯამებული სახით, შეფასებული ფიზიკური და იურიდიული პირების ანონიმურობის დაცვით.

შეფასების ფორმაში მოცემული შეკითხვების უმეტესობას თან ერთვის ასარჩევი პასუხები და მთლიანი კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ დაახლოებით 5-7 წუთი (*ხანგრძლივობა დამოკიდებულია თქვენი მხრიდან ღია კითხვების შევსების საჭიროებასა და შესავსებელი ინდივიდების რაოდენობაზე*).

გაითვალისწინეთ, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური ინფორმაციის დამუშავება¹, გარდა კითხვარში მითითებული მიზნისა (ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით მონაცემების დამუშავება).

აკრედიტაციის პროცესის გაუმჯობესებისთვის, უკიდურესად მნიშვნელოვანია, კვლევაში თქვენი მონაწილეობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

ტელეფონი/ფაქსი: (+995 322) 200 220 (*3599); ელ-ფოსტა: info@eqe.ge

შემდეგ გვერდზე გადასვლით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით ზემოაღნიშნულ ინფორმაციას და აცხადებთ თანხმობას კვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

შემდეგი

¹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასება²

*გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების
პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული*

დაწესებულების სახელწოდება (სრული) _____

საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სახელწოდება³ _____

ვიზიტის ბრძანების ნომერი⁴ _____

ვიზიტის თარიღი (დღე/თვე/წელი) _____

1. გთხოვთ, შეაფასოთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა:

[შეფასების სკალაზე ქულები აღნიშნავს შემდეგს: 1 - „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 - „ნაკლებად ვეთანხმები“, 3 - „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“, 4 - „მეტწილად ვეთანხმები“, 5 კი - „სრულიად ვეთანხმები“]

[3-ზე დაბალი ქულის მინიჭების შემთხვევაში, გთხოვთ, დაასაბუთოთ კომენტარში]

№	შეფასების კრიტერიუმები	1	2	3	4	5	კომენტარი
1	ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი სრულად დაესწრო ვიზიტს						
2	ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტამდე შესწავლილი ჰქონდა მასალები						
3	ექსპერტები მოქმედებდნენ გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით						
4	ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია უკავშირდებოდა ვიზიტით გათვალისწინებული საკითხების შესწავლას [იმ შემთხვევაში თუ ექსპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია დოკუმენტაცია, შეფასების ველი დატოვეთ ცარიელი]						
5	ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა ობიექტურად, კეთილსინდისიერად და კოლეგიალურად						

² ივსება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდეგ.

³ ერთზე მეტი პროგრამა მიუთითეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი ვიზიტის ფარგლებში შეფასება განხორციელდა ერთი და იმავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

⁴ გთხოვთ, მიუთითოთ მხოლოდ რიცხობრივად, დამატებითი ასო-ნიშნების გარეშე.

2. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

3. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას 5 ბალიან სკალაზე?

[შეფასების სკალაზე 1 აღნიშნავს „ძალიან ცუდად, 5 კი - „ძალიან კარგად“]

1	2	3	4	5
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. გთხოვთ, შეაფასოთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის საქმიანობა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი და გვარი) _____

[შეფასების სკალაზე ქულები აღნიშნავს შემდეგს: 1 - „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „ნაკლებად ვეთანხმები“, 3 – „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“, 4 – „მეტწილად ვეთანხმები“, 5 კი - „სრულიად ვეთანხმები“]

[3-ზე დაბალი ქულის მინიჭების შემთხვევაში, გთხოვთ, დაასაბუთოთ კომენტარში]

№	შეფასების კრიტერიუმები	1	2	3	4	5	კომენტარი
1	თავმჯდომარეს მომზადებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში დასაზუსტებელი კითხვები და მოსაზრებები						
2	ინტერვიუების დროს, თავმჯდომარის მიერ დასმული შეკითხვები იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული <i>[თუ ექსპერტი არ მონაწილეობდა ინტერვიუს პროცესში, მონიშნეთ „1“]</i>						
3	ინტერვიუების დროს, თავმჯდომარემ დასკვნის შესადგენად გამოიკვლია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი <i>[თუ თავმჯდომარე არ მონაწილეობდა ინტერვიუს პროცესში, მონიშნეთ „1“]</i>						
4	თავმჯდომარე ყურადღებით ისმენდა და მხედველობაში იღებდა დაწესებულების პოზიციას						
5	თავმჯდომარე ინარჩუნებდა სიმშვიდესა და ნეიტრალობას						

5. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

6. სულ რამდენი წვერი იყო თქვენს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში (თავმჯდომარის გამოკლებით)?

- o 1 წვერი
- o 2 წვერი
- o 3 წვერი
- o 4 წვერი

7.1[-7.4] გთხოვთ, შეაფასოთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის საქმიანობა:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წვერი (სახელი და გვარი) _____

[შეფასების სკალაზე ქულები აღნიშნავს შემდეგს: 1 - „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „ნაკლებად ვეთანხმები“, 3 – „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“, 4 – „მეტწილად ვეთანხმები“, 5 კი - „სრულიად ვეთანხმები“]

[3-ზე დაბალი ქულის მინიჭების შემთხვევაში, გთხოვთ, დაასაბუთოთ კომენტარში]

№	შეფასების კრიტერიუმები	1	2	3	4	5	კომენტარი
1	ექსპერტს მომზადებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში დასაზუსტებელი კითხვები და მოსაზრებები						
2	ინტერვიუების დროს, ექსპერტის მიერ დასმული შეკითხვები იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული <i>[თუ ექსპერტი არ მონაწილეობდა ინტერვიუს პროცესში, მონიშნეთ „1“]</i>						
3	ინტერვიუების დროს, ექსპერტმა გამოიკვლია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი დასკვნის შესადგენად <i>[თუ ექსპერტი არ მონაწილეობდა ინტერვიუს პროცესში, მონიშნეთ „1“]</i>						
4	ექსპერტი ყურადღებით ისმენდა და მხედველობაში იღებდა დაწესებულების პოზიციას						
5	ექსპერტი ინარჩუნებდა სიმშვიდესა და ნეიტრალურობას						

8. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო

ინფორმირებული თანხმობა

გთხოვთ, კითხვარის შევსებამდე გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, როგორც განათლების ხარისხის, ისე მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს აკრედიტაციის პროცესში ჩართულ მხარეთა ურთიერთშეფასებას.

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური, გამოიყენება ცენტრის შიდა ანალიტიკური ანგარიშის მოსამზადებლად და არ გადაეცემა მესამე პირებს, ხოლო საჯარო კვლევითი დოკუმენტების და/ან პრეზენტაციების მომზადებისას გამოიყენება მხოლოდ დაჯამებული სახით, შეფასებული ფიზიკური და იურიდიული პირების ანონიმურობის დაცვით.

შეფასების ფორმაში მოცემული შეკითხვების უმეტესობას თან ერთვის ასარჩევი პასუხები და მთლიანი კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ დაახლოებით 5-7 წუთი (*ხანგრძლივობა დამოკიდებულია თქვენი მხრიდან ღია კითხვების შევსების საჭიროებასა და შესაფასებელი ინდივიდების რაოდენობაზე*).

გაითვალისწინეთ, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური ინფორმაციის დამუშავება¹, გარდა კითხვარში მითითებული მიზნისა (ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით მონაცემების დამუშავება).

აკრედიტაციის პროცესის გაუმჯობესებისთვის, უკიდურესად მნიშვნელოვანია, კვლევაში თქვენი მონაწილეობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

ტელეფონი/ფაქსი: (+995 322) 200 220 (*3599); ელ-ფოსტა: info@eqe.ge

შემდეგ გვერდზე გადასვლით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით ზემოაღნიშნულ ინფორმაციას და აცხადებთ თანხმობას კვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

შემდეგი

¹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს თანამშრომლის მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასება²

გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული

დაწესებულების სახელწოდება (სრული) _____

საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სახელწოდება³ _____

ვიზიტის ბრძანების ნომერი⁴ _____

ვიზიტის თარიღი (დღე/თვე/წელი) _____

1. გთხოვთ, შეაფასოთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის საქმიანობა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი და გვარი) _____

[შეფასების სკალაზე ქულები აღნიშნავს შემდეგს: 1 - „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „ნაკლებად ვეთანხმები“, 3 – „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“, 4 – „მეტწილად ვეთანხმები“, 5 კი - „სრულიად ვეთანხმები“]

[3-ზე დაბალი ქულის მინიჭების შემთხვევაში, გთხოვთ, დაასაბუთოთ კომენტარში]

№	შეფასების კრიტერიუმები	1	2	3	4	5	კომენტარი
1	თავმჯდომარემ, ვიზიტამდე, ჯგუფის წევრებს შორის ეფექტურად გადაანაწილა შესასრულებელი სამუშაო						
2	თავმჯდომარემ, ვიზიტამდე, დროულად წარმოადგინა დღის წესრიგი						
3	თავმჯდომარემ ეფექტურად წარმართა ვიზიტის წინა შეხვედრა						
4	თავმჯდომარე აკონტროლებდა შეფასების პროცესის ვადებს						
5	თავმჯდომარემ დაიცვა დღის წესრიგი						
6	ვიზიტისას, თავმჯდომარემ უზრუნველყო პროგრამის შესაფასებლად ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება						
7	თავმჯდომარე ეფექტურად მართავდა ჯგუფის მუშაობას ვიზიტზე						

² იცვება აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

³ ერთზე მეტი პროგრამა მიუთითეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი ვიზიტის ფარგლებში შეფასება განხორციელდა ერთი და იმავე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

⁴ გთხოვთ, მიუთითოთ მხოლოდ რიცხობრივად, დამატებითი ასო-ნიშნების გარეშე.

8	თავმჯდომარემ უზრუნველყო სამუშაო პროცესის უკონფლიქტოდ წარმართვა						
9	დასკვნის პროექტი მოიცავს შეფასების პროცესში გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს						
10	დასკვნის პროექტი ენობრივად გამართულია						
11	დასკვნის პროექტი არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებულია						
12	დასკვნის პროექტი მოიცავს ყველა სტანდარტის კომპონენტის სრულფასოვან შეფასებას						
13	დასკვნის პროექტი ჩაბარებულია დადგენილ ვადებში						
14	საბოლოო დასკვნა ჩაბარებულია დადგენილ ვადებში						
15	საბოლოო დასკვნა მოიცავს შეფასების პროცესში გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს						
16	საბოლოო დასკვნის ფორმირებისას, თავმჯდომარემ მხედველობაში მიიღო ცენტრის უკუკავშირი						
17	თავმჯდომარე, სხდომის დროს, არგუმენტირებულად და დასაბუთებულად იცავდა დასკვნაში დაფიქსირებულ პოზიციებს [იმ შემთხვევაში თუ თავმჯდომარე არ ესწრებოდა სხდომას და არც სატელეფონო/ონლაინ საშუალებით ჩაერთო, მონიშნეთ „1“]						

2. სულ რამდენი წევრი იყო თქვენს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში (თავმჯდომარის გამოკლებით)?

- 1 წევრი
- 2 წევრი
- 3 წევრი
- 4 წევრი

3.1[-3.4] გთხოვთ, შეაფასოთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის საქმიანობა:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი (სახელი და გვარი) _____

[შეფასების სკალაზე ქულები აღნიშნავს შემდეგს: 1 - „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „ნაკლებად ვეთანხმები“, 3 – „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“, 4 – „მეტწილად ვეთანხმები“, 5 კი - „სრულიად ვეთანხმები“]

[3-ზე დაბალი ქულის მინიჭების შემთხვევაში, გთხოვთ, დაასაბუთოთ კომენტარში]

№	შეფასების კრიტერიუმები	1	2	3	4	5	კომენტარი
1	ექსპერტმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია <i>[რეაკრედიტაციის შემთხვევაში, გაეცნო ასევე პროგრამის წინარე ისტორიას შედარების მიზნით]</i>						
2	ექსპერტს მომზადებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში დასაზუსტებელი კითხვები და მოსაზრებები						
3	ინტერვიუების დროს, ექსპერტის მიერ დასმული შეკითხვები იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული <i>[თუ ექსპერტი არ მონაწილეობდა ინტერვიუს პროცესში, მონიშნეთ „1“]</i>						
4	ინტერვიუების დროს, ექსპერტმა გამოიკვლია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი დასკვნის შესადგენად <i>[თუ ექსპერტი არ მონაწილეობდა ინტერვიუს პროცესში, მონიშნეთ „1“]</i>						
5	ექსპერტი ინარჩუნებდა სიმშვიდესა და ნეიტრალობას						
6	ექსპერტი ყურადღებით ისმენდა და მხედველობაში იღებდა დაწესებულების პოზიციას						
7	ექსპერტი მოქმედებდა ობიექტურად, კეთილსინდისიერად და კოლეგიალურად						

4. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

5. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობას 5 ბალიან სკალაზე?

[შეფასების სკალაზე 1 აღნიშნავს „ძალიან ცუდად, 5 კი - „ძალიან კარგად“]

1	2	3	4	5
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო

ინფორმირებული თანხმობა

გთხოვთ, კითხვარის შევსებამდე გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, როგორც განათლების ხარისხის, ისე მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს აკრედიტაციის პროცესში ჩართულ მხარეთა ურთიერთშეფასებას.

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური, გამოიყენება ცენტრის შიდა ანალიტიკური ანგარიშის მოსამზადებლად და არ გადაეცემა მესამე პირებს, ხოლო საჯარო კვლევითი დოკუმენტების და/ან პრეზენტაციების მომზადებისას გამოიყენება მხოლოდ დაჯამებული სახით, შეფასებული ფიზიკური და იურიდიული პირების ანონიმურობის დაცვით.

შეფასების ფორმაში მოცემული შეკითხვების უმეტესობას თან ერთვის ასარჩევი პასუხები და მთლიანი კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ დაახლოებით 5-7 წუთი (*ხანგრძლივობა დამოკიდებულია თქვენი მხრიდან ღია კითხვების შევსების საჭიროებასა და შესაფასებელი ინდივიდების რაოდენობაზე*).

გაითვალისწინეთ, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური ინფორმაციის დამუშავება¹, გარდა კითხვარში მითითებული მიზნისა (ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით მონაცემების დამუშავება).

აკრედიტაციის პროცესის გაუმჯობესებისთვის, უკიდურესად მნიშვნელოვანია, კვლევაში თქვენი მონაწილეობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

ტელეფონი/ფაქსი: (+995 322) 200 220 (*3599); ელ-ფოსტა: info@eqe.ge

შემდეგ გვერდზე გადასვლით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით ზემოაღნიშნულ ინფორმაციას და აცხადებთ თანხმობას კვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

შემდეგი

¹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა მიერ
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასება ²

*გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების
პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული*

ვიზიტის ბრძანების ნომერი³ _____

1. გთხოვთ, შეაფასოთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა:

[შეფასების სკალაზე ქულები აღნიშნავს შემდეგს: 1 - „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 - „ნაკლებად ვეთანხმები“, 3 - „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“, 4 - „მეტწილად ვეთანხმები“, 5 კი - „სრულიად ვეთანხმები“]

[3-ზე დაბალი ქულის მინიჭების შემთხვევაში, გთხოვთ, დაასაბუთოთ კომენტარში]

№	შეფასების კრიტერიუმები	1	2	3	4	5	კომენტარი
1	ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ნათელი და არგუმენტირებულია						
2	ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა ენობრივად გამართულია						
3	ექსპერტთა ჯგუფმა ზეპირი მოსმენისას დაასაბუთა საკუთარი პოზიცია						
4	ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია ობიექტური და ნეიტრალურია						

2. სურვილის შემთხვევაში, შეაფასეთ ცალკეული ექსპერტები ინდივიდუალურად:

3. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში):

4. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობას 5 ბალიან სკალაზე?

² ივსება აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს (შესაბამისი საკითხის განხილვის შემდგომ).

³ ვიზიტის ნომერი გამოგვეზავნათ მეილზე კითხვარის ბმულთან და დღის წესრიგთან ერთად (გთხოვთ, მიუთითოთ მხოლოდ რიცხობრივად, დამატებითი ასო-ნიშნების გარეშე).

[შეფასების სკალაზე 1 აღნიშნავს „ძალიან ცუდად, 5 კი - „ძალიან კარგად“]

1	2	3	4	5
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო

ინფორმირებული თანხმობა

გთხოვთ, კითხვარის შევსებამდე გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, როგორც განათლების ხარისხის, ისე მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს აკრედიტაციის პროცესში ჩართულ მხარეთა ურთიერთშეფასებას.

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური, გამოიყენება ცენტრის შიდა ანალიტიკური ანგარიშის მოსამზადებლად და არ გადაეცემა მესამე პირებს, ხოლო საჯარო კვლევითი დოკუმენტების და/ან პრეზენტაციების მომზადებისას გამოიყენება მხოლოდ დაჯამებული სახით, შეფასებული ფიზიკური და იურიდიული პირების ანონიმურობის დაცვით.

შეფასების ფორმაში მოცემული შეკითხვების უმეტესობას თან ერთვის ასარჩევი პასუხები და მთლიანი კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ დაახლოებით 5-7 წუთი (*ხანგრძლივობა დამოკიდებულია თქვენი მხრიდან ღია კითხვების შევსების საჭიროებასა და შესაფასებელი ინდივიდების რაოდენობაზე*).

გაითვალისწინეთ, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური ინფორმაციის დამუშავება¹, გარდა კითხვარში მითითებული მიზნისა (ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით მონაცემების დამუშავება).

აკრედიტაციის პროცესის გაუმჯობესებისთვის, უკიდურესად მნიშვნელოვანია, კვლევაში თქვენი მონაწილეობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

ტელეფონი/ფაქსი: (+995 322) 200 220 (*3599); ელ-ფოსტა: info@eqe.ge

შემდეგ გვერდზე გადასვლით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით ზემოაღნიშნულ ინფორმაციას და აცხადებთ თანხმობას კვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

შემდეგი

¹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის შეფასება²

გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული

დაწესებულების სახელწოდება (სრული) _____

საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სახელწოდება³ _____

ვიზიტის ბრძანების ნომერი⁴ _____

ვიზიტის თარიღი (დღე/თვე/წელი) _____

1. სულ რამდენი წევრი იყო თქვენს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფში (თავმჯდომარის გამოკლებით)?

- 1 წევრი
- 2 წევრი
- 3 წევრი
- 4 წევრი

2.1[-2.4] გთხოვთ, შეაფასოთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრის საქმიანობა:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი (სახელი და გვარი) _____

[შეფასების სკალაზე ქულები აღნიშნავს შემდეგს: 1 - „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „ნაკლებად ვეთანხმები“, 3 – „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“, 4 – „მეტწილად ვეთანხმები“, 5 კი - „სრულიად ვეთანხმები“]

[3-ზე დაბალი ქულის მინიჭების შემთხვევაში, გთხოვთ, დაასაბუთოთ კომენტარში]

№	შეფასების კრიტერიუმები	1	2	3	4	5	კომენტარი
1	ექსპერტმა, ვიზიტის განხორციელებამდე, შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია [რეაკრედიტაციის შემთხვევაში, გაეცნო ასევე პროგრამის წინარე ისტორიას შედარების მიზნით]						

² ივსება საბოლოო დასკვნისა და ანგარიშის წარმოდგენასთან ერთად.

³ ერთზე მეტი პროგრამა მიუთითეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი ვიზიტის ფარგლებში შეფასება განხორციელდა ერთი და იმავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

⁴ გთხოვთ, მიუთითოთ მხოლოდ რიცხობრივად, დამატებითი ასო-ნიშნების გარეშე.

2	ექსპერტს მომზადებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში დასაზუსტებელი კითხვები და მოსაზრებები						
3	ინტერვიუების დროს, ექსპერტის მიერ დასმული შეკითხვები იყო ნათლად და გასაგებად ფორმულირებული <i>[თუ ექსპერტი არ მონაწილეობდა ინტერვიუს პროცესში, მონიშნეთ „1“]</i>						
4	ინტერვიუების დროს, ექსპერტმა გამოიკვლია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი დასკვნის შესადგენად <i>[თუ ექსპერტი არ მონაწილეობდა ინტერვიუს პროცესში, მონიშნეთ „1“]</i>						
5	ექსპერტი მონაწილეობდა ძირითადი მიგნებების ჩამოყალიბებაში						
6	ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი მკაფიო და ნათელია						
7	ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი მოიცავს შეფასების პროცესში გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს						
8	ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი ენობრივად გამართულია						
9	ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებულია						
10	ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი მოიცავს შესაბამისი სტანდარტის კომპონენტის სრულფასოვან შეფასებას						
11	ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილში დაფიქსირებული რეკომენდაციები ასახავს აღწერისა და ანალიზის ნაწილში გამოვლენილ ყველა პრობლემურ საკითხს <i>[თუ რეკომენდაციები არ გამოვლენილა, დატოვეთ უჯრა ცარიელი]</i>						
12	ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის პროექტის შესაბამისი ნაწილი ჩაბარებულია დადგენილ ვადებში						

3. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

4. საერთო ჯამში, როგორ შეაფასებდით ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობას 5 ბალიან სკალაზე?

[შეფასების სკალაზე 1 აღნიშნავს „ძალიან ცუდად, 5 კი - „ძალიან კარგად“]

1	2	3	4	5
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო

ინფორმირებული თანხმობა

გთხოვთ, კითხვარის შევსებამდე გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, როგორც განათლების ხარისხის, ისე მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი უზრუნველყოფს აკრედიტაციის პროცესში ჩართულ მხარეთა ურთიერთშეფასებას.

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური, გამოიყენება ცენტრის შიდა ანალიტიკური ანგარიშის მოსამზადებლად და არ გადაეცემა მესამე პირებს, ხოლო საჯარო კვლევითი დოკუმენტების და/ან პრეზენტაციების მომზადებისას გამოიყენება მხოლოდ დაჯამებული სახით, შეფასებული ფიზიკური და იურიდიული პირების ანონიმურობის დაცვით.

შეფასების ფორმაში მოცემული შეკითხვების უმეტესობას თან ერთვის ასარჩევი პასუხები და მთლიანი კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ დაახლოებით 5-7 წუთი (*ხანგრძლივობა დამოკიდებულია თქვენი მხრიდან ღია კითხვების შევსების საჭიროებასა და შესაფასებელი ინდივიდების რაოდენობაზე*).

გაითვალისწინეთ, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური ინფორმაციის დამუშავება¹, გარდა კითხვარში მითითებული მიზნისა (ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით მონაცემების დამუშავება).

აკრედიტაციის პროცესის გაუმჯობესებისთვის, უკიდურესად მნიშვნელოვანია, კვლევაში თქვენი მონაწილეობა.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ:

ტელეფონი/ფაქსი: (+995 322) 200 220 (*3599); ელ-ფოსტა: info@eqe.ge

შემდეგ გვერდზე გადასვლით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით ზემოაღნიშნულ ინფორმაციას და აცხადებთ თანხმობას კვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

შემდეგი

¹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის საქმიანობის შეფასება²

გამოკითხვის შედეგები კონფიდენციალურია და მხოლოდ ხარისხის განვითარების პროცესის გაუმჯობესების მიზნით იქნება გამოყენებული

დაწესებულების სახელწოდება (სრული) _____

საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის სახელწოდება ³ _____

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი და გვარი) _____

ვიზიტის ბრძანების ნომერი ⁴ _____

ვიზიტის თარიღი (დღე/თვე/წელი) _____

1. გთხოვთ, შეაფასოთ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის საქმიანობა:

[შეფასების სკალაზე ქულები აღნიშნავს შემდეგს: 1 - „საერთოდ არ ვეთანხმები“, 2 – „ნაკლებად ვეთანხმები“, 3 – „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“, 4 – „მეტწილად ვეთანხმები“, 5 კი - „სრულიად ვეთანხმები“]

[3-ზე დაბალი ქულის მინიჭების შემთხვევაში, გთხოვთ, დაასაბუთოთ კომენტარში]

№	შეფასების კრიტერიუმები	1	2	3	4	5	კომენტარი
1	თავმჯდომარემ ჯგუფის წევრებს შორის, ვიზიტამდე, ეფექტურად გადაანაწილა შესასრულებელი სამუშაო						
2	თავმჯდომარემ ვიზიტამდე წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგი						
3	თავმჯდომარემ ეფექტურად წარმართა ვიზიტის წინა შეხვედრა						
4	თავმჯდომარე აკონტროლებდა შეფასების პროცესის ვადებს						
5	თავმჯდომარემ დაიცვა დღის წესრიგი						
6	ვიზიტისას თავმჯდომარემ უზრუნველყო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება						
7	თავმჯდომარე ეფექტურად მართავდა ჯგუფის მუშაობას ვიზიტზე						

² ივსება საბოლოო დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარებამდე.

³ ერთზე მეტი პროგრამა მიუთითეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი ვიზიტის ფარგლებში შეფასება განხორციელდა ერთი და იმავე ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

⁴ გთხოვთ, მიუთითოთ მხოლოდ რიცხობრივად, დამატებითი ასო-ნიშნების გარეშე.

8	თავმჯდომარე უზრუნველყო სამუშაო პროცესის უკონფლიქტოდ წარმართვა						
9	დასკვნის პროექტი მოიცავს შეფასების პროცესში ექსპერტების მიერ გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს						
10	საბოლოო დასკვნა მოიცავს შეფასების პროცესში ექსპერტების მიერ გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს						

2. გთხოვთ, მიუთითოთ დამატებითი კომენტარები და მოსაზრებები (არსებობის შემთხვევაში)

მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო